ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშობლო

ოთხშაბათი

21 ოქტომბერი.

წელიწადი I.

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. **დამატებით** 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., და ნარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 202 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 202

ტელეფონი № 76.

„სამშობლო დიდის ძუძუა, არ გაიცვლების სხვაზედა,
თრივ ტკბილია ძმობილთ, მირჩენის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა.“

ტელეფონი № 76.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი „სამშობლო“

— ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით —

ხელის მოწერის ფასი: ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი 7 კ. მისამართი: **ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო“.**

ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები.

რედაქტორი **ი. თ. ცინცაძე.**

ხუთშაბათს, 22 ოქტომბერს, სოფიჩხიის სასაფლაოს ეკლესიაში გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი ბრძოლის ველზე გმირულ მოკლულის

შტაბ როტმისტრის თავადის მიხეილ დიმიტრის-ძის მიქელაძის

ხსოვნის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მეუღლე მისი კნეინა ელენე დიმიტრის ასული, მამა თავადი დიმიტრი სიმონის ძე მიქელაძე, კნეინა ირინე კონსტანტინეს ასული მიქელაძისა შვილებით. წირვა დაიწყება ათი საათის ნახევარზე, **ხოლო პანაშვიდი** თორმეტის ნახევარზე. 1—1—4071.

ღრმათ დამწუხრებულნი მასწავლებელი იოსებ თადეოზის ძე სანებლიძე და მეუღლე მისი ვერა ალექსის ასული, შვილი მათი ნაფიცი ვექილის თანაშემწე შალვა იოსების ძე სანებლიძე და მეუღლე მისი ალექსანდრა ალექსის ასული გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთა და მეგობრებს, **რომ ხუთშაბათს, 22 ოქტომბერს,** სოფიჩხიის სასაფლაოს ეკლესიაში დილის 11 საათზე გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი პირველთა დაუვიწყარი შვილის, მეორის ძვირფასი დის, ხოლო უკანასკნელის საყვარელი მეუღლის უდროოთ გარდაცვალებულის კურსისტკის

ნინოს.

სულის მოსახსენებლათ. 1——1—4070.

1915 წ.

ოქტომბერი

22

ხუთშაბათი

წარმოდგენა № 8.

„ქართული დრამა“.

ქალაქის თეატრი.

დანიშნულია წარმოდგენა საღამოს 8 საათზე

ცნობილი პიესა, ნაპოლეონის ცხოვრებიდან

მადამ სან-ჟენ

3 მოქმედებ.

ავტორი: ვ. სარდული თარგმ. კ. მესხისა.

მონაწილეობს მთელი დასი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

რეჟისორი **შალვა დადიანი.**

ადმინისტრაცია „ქართული დრამის“ ამხ-ბა. 2—1

ანონსი:

მზადდება

ერისთავის „სამშობლო“, შენტანის „ჯამბაზები“.

ქ. ქუთაისში **ექიმი** ჟენევის უნივერსიტეტის დოქტორი მედიცინისა

სერაფიონ მ. დადუნაშვილი

მკურნალობს შინაგან და სამშობიარო ავათმყოფობით სნეულებს დილის 9—12 საათ. და საღამოს 5—6 საათ.

ქარვასლის ქუჩა (კლასიკურ გიმნაზიის პირდაპირ) ადანაიას სახლები. თვ.

ექიმი ზ. დ. **ნასარიძე** შინაგანი, ნერვებისა და ბავშების სნეულებათა ავათმყოფებს იღებს დილის 8—2 საათამდე და საღამოთი 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ქუთაისის ცენტრალი ქალაქის თავის დ. ა. ლორთქიფანიძის სახლი. თვ.

ექიმი **ბაგრიელ იოსების ძე გოკიელის**

ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.

შინაგანი ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ.

ალექსანდრეს ქ. საკუთარი სახლი. თ.

ბებია **მ. ზ. კობახიძე** უვლის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს.

ალექსანდროვის ქუჩა სახლი თევდორაძისა, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

ექიმი **ი. ჩარექიშვი** ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში. (თ.)

მასაჟით სამკურნალო კაბინეთი

მარ. ბალანჩივაძისა.

ვკურნავ მასაჟით, საექიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას. ამასთან ვუცრი ყვავილსაც და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ახალი გამოსული წამლის საშვალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ სცვივდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა და დარიგება 10 შაური. მისამართი: გუნერლის ქუჩა, ლორთ ქიფიანიძის სახლი. თ

ელექტრო **„რადიუმი“** თეატრი

ოთხშაბათიდან, 19 ოქტომბრიდან ახალი საუცხოვო პროგრამა.

გერმანელების ფრონტის გარღვევა **ფრანგების ჯარისაგან**

და შარტმანსვეილერკოპის ბრძოლით აღება. ბუნებიდან.

სიმღერა ძლევამოსილ სიყვარულისა.

მხატვრული დრამა 4 ნაწილათ ტურგენევის მოთხრობიდან, ხოლოდნისა, პოლონსკისა და რიდიჩის მონაწილეობით.

იშვიათი ზამბახი.

კომიკური სურათი, მაქს ლინდერის მონაწილეობით. დასაწყისი საღამოს 5½ ს.

ანონსი: ხუთშაბათიდან, 22 ოქტ. **„მილიონების მიანოზის ზავლინის ძმეზ“.** 11 და 12 სერია, 4 ნაწილათ.

„სინათლის“ საზოგადოების **დედათა ქართულ**

სასწავლებელში

მასალები გამგეობა სწარმოებს ყოველ დღე დილის რვა საათიდან თორმეტამდე.

თფილისის ქუჩა, გ. მეიფარიანის სახლი. თ.

საყოველთაოთ ვაცხადებ, რომ გავხსენით სააგენტო დამზღვევ (სტრახის) საზოგადოებისა

„რუსეთი“ („როსსია“),

სადაც შეიძლება **დაზღვევა** სიცოცხლისა და უბედურ შემთხვევებისაგან.

პირადათ მოსალაპარაკებლათ ვთხოვ მობრძანდეთ დილის 10 ს-დან ნაშუადღევის 1 საათ. და საღამოობით 4 საათ.—7 საათ. ჩვენს კანტორაში ქ. ქუთაისში, ორპირის ქუჩაზე, საკუთარ სახლში, ქალაქის მეორე აფთიაქის ზემოთ. მსურველთ შეუძლიათ აგენტის სახლში მიწვევით დაიზღვევონ თავი. ტელეფონი № 26

წერილობით შეკითხვაზე პასუხი დაუყონებლივ მიეცემა.

თ. აგენტი დამზღვევ საზოგადოებისა **დავით სიმონის ძე ლოლობერიძე.**

გაზეთ **„საქართველოს“** რედაქცია

აუწყებს თავის მკითხველებს, რომ 20 ლვინობისთვიდან გაზეთ „საქართველო“ გამოვა **გადიდებულ ფორმატით** და უკეთეს ქაღალდზე. მოწვეულნი არიან საუკეთესო ქართველი მწერლები. გაზეთს ჰყავს მუდმივი კორესპონდენტები საქართველოს გარეთ: პარიზში (საფრანგეთში), ლონდონში (ინგლისში), პეტროგრადში, მოსკოვსა, და კიევში. ადგილობრივად: ბათომში, ქუთაისში, ოზურგეთში, ზუგდიდში, გორში, თელავში, სიღნაღში, ახალციხეში, ართვინში, ყარსში და საქართველოს ყველა დიდ სოფლებში. განსაკუთრებული კორესპონდენტები აჭარა-შავშეთ-იმერხევიდან და კავკასიის ბრძოლის ველიდან.

მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქ., № 4.

1 ნოემბრიდან წლის დამლევამდე ღირს 1 მან. და 60 კაპ. 6—2

იყიდება კარგი ჯიშის სამი **რუსული ძროხა.**

მსურველთ შეუძლიათ მიმართონ დ. ქიათურაში, სადგურის მახლობლათ, სოფრო კარაპეტოვისას. ამასთანვე შეიძლება ფასზე მორიგებაც. 3—2—4062.

ვაცხადებ ქუთაისის საზოგადოების საყურადღებოთ, რომ ამა 1915 წლის 20 აგვისტოდან, ვორონცოვის ქუჩაზე, ჩემი სავაჭროს პირდაპირ გაიხსნა

დიდი იაფი ვაჭრობა

ფეხსაცმელებისა და საგალანტერიო საქონლისა.

რომლის ფასები 50%-დან 75%-მდე დაკლებულია.

პატივისცემით დ. მ. ბახტაძე.

თვ.

საუმაღლო სასწავლებლის უნცროს კლასებისთვის, უმაღლეს დასაწყისს 4 კლასიან სასწავლებლის ყველა კლასისათვის **მამზადებ მოწაფეებს,** ვგზამენის დაჭერა უზრუნველყოფილია.

მისამართი: ივანოვის ქუჩა, **პაროკმახერის** ნიკოფორე ქათამაძის სახლი № 32.

პირობების შეტყობა შეიძლება საღამოს 4—6 ს.

კბილის ექიმი **რ. პ. სვანიძე**-ასული

მიიღებს 10—3 და 5—7 საათამდე. თბილისის ქუჩა, ელიგულაშვილის (ყოფილი ჯორჯიკიას) სახლში.

დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან)

პეტროგრადი. 17 ოქტომბერი. უმაღლესი მთავარ-სარდლის შტაბისაგან, ოფიციალ. დასავლეთი ფრონტი. რიგის ყურეში -მდ. პრიპიატის რაიონამდე სავსებით არაფერია შესამჩნევი. შეიძლება აღინიშნოს მხოლოდ რუსთა რაზმების ზოგიერთი მარჯვე მოქმედება, მძიმე და სუბუქი არტილერია მარჯვედ მოქმედებს იაკობშტადტისა და დვინის რაიონებში და სოფ. ნურვინცთან. გერმანელებმა სცადეს დვინის მარცხენა ნაპირით წამოსულიყვნენ, მაგრამ რუსებმა აღვილათ შეაჩერეს. გერმანელები მცხოვრებთ ართმევენ მატყლეულს, ტანთსაცმელს, ჩექმებს და ვილნაში ეზიდებიან. ს. ლიუბრის ჩრდილოეთით, ზემო ნემანზე, გერმანელთა და რუსის რაზმები შეეჯახნენ. უკანასკნელებმა მოსპეს მოწინააღმდეგის ერთი რაზმი. აგრეთვე წამოიყვანეს ცხენები და საბარგულები. რუსები ცოცხლად მოქმედობენ, ამიტომ ნაკლები ზარალიც მოუვიდათ, დაჰკარგეს 2 კაცი და ერთიც დაეჭრათ. ბარანოვიჩის სამხრეთით გოროდიშჩეს რაიონში რუსთა არტილერიამ ჩამოაგდო გერმანელი მფრინავი. იგი თავის თანაშემწით ტყვედ იქნა შეპყრობილი. ს. რუდნიასთან სასტიკი ბრძოლაა. ჩარტორისკის დასავლეთით რუსებმა წამოიყვანეს 300 ტყვე ავსტრიელი, 6 აფიცრითურთ.

კავკასიის ახბარები.

16 ოქტ. მთელი ფრონტის გასწვრივ, შავიზღვიდან მოყოლებული მდ. სერვიჩაიმდე, მხოლოდ მოწინავე რაზმთა შეჯახებები ხდება. ქალ. ქესანკალესა და სოფ. კეპრიოვის რაიონებში რუსის მფრინავებმა ყუმბარები ჩამოყარეს ოსმალთა რაზმებში და ტყვია-წამლის საწყობებში.

სევრი-ჩაის ღელეში, ტორტუმის ტბის სამხრეთით და არჯიშის რაიონში მოწინავე რაზმთა შეტაკებაა.

პეტროგრადი. 18 ოქტომბერი. ოფიციალ. სადგურ ტაუერკალნზე, ფრიდრიხშტადტის სამხრეთ-დასავლეთით, „ილია მურომეცმა“ ყუმბარები ჩამოყარა. სხვა აპარატებიდანაც ყუმბარები დაუშინეს გერმანელთა ჯარებს მიტავისა და შენბერგის რაიონებში. დვინსკის რაიონში ხანზე ადგილ-ადგილ ცეცხლის ქარიშხალი მძვინვარებს ორივე მხრით. ზემო ნემანზე კუპიცკოს პოსტთან, ლიუბრის ზემოდ, გერმანელებმა გამოილაშქრეს, მაგრამ ცეცხლით შეაჩერეს. სამხრეთით პრიპიატამდე მდგომარეობა უცვლელია. ჩარტორისკის ჩრდილო-დასავლეთით, გუ-

ტი-ლისოვსკის რაიონში, მკაცრი ბრძოლაა. ჩორტორისკის დასავლეთით ავსტრიელებმა გამოილაშქრეს სოფ. ბუდკაზე, მაგრამ რუსებმა შეაჩერეს. ასევე შეაჩერეს სოფ. კომაროვთან. დანარჩენ ადგილებშიც ზოგან მოიგერიეს, ზოგან კიდევ გაჰფანტეს მოიერიშე ავსტრიელთა რაზმები.

ბალტიის ზღვაში.

რუსის კრეისერებმა ბოტნიკის ყურეში დაიჭირეს გერმანელთა ხომალდი.

ომის ამბები.

(ჟურნალ-გაზეთებიდან.)

ბალკანეთის ფრონტი.

ათენში მყოფმა სერბიის ელჩმა ცემოვიჩმა ცნობა მიიღო, რომელიც ადასტურებს ავსტრიისა და ბულგარეთის ჯარების შეერთებას. საფუძველია ვიფიქროთ, რომ მათი შეერთება მოხდა ნეგოტინის ახლოს.

——

ელჩს ამავე დროს ატყობინებენ, რომ ავსტრო-გერმანელები და ბულგარელები დიდ შეუბრალებლობას იჩენენ მშვიდობიან მცხოვრებლებისადმიო.

——

სოფიიდან მოსული ცნობებით, ბულგარელებს დაუკავებიათ ნეგოტინი და როგლიევო და ამ ჟამათ იმყოფებიან კნიაჟევაცის სამხრეთ-აღმოსავლეთით და აღმოსავლეთით. სერბიელები დიდი თავგანწირვით იბრძვიან და მედგრათ იცავენ ყოველ ნაბიჯს მიწის თავისი ტერიტორიისას. სასტიკი ბრძოლა დაიწყო პიროტის სამხრეთ-აღმოსავლეთით. გენერალ გალვიცის ჯარი, რომელიც მდ. იასენიცაზე გადავიდა, პალანკის აღმოსავლეთით ძლიერ მიუახლოვდა ალექსანდროვაც-ობელიევოს პოზიციებს ასაღებათ.

——

როგორც ათენის გაზეთები იტყობინებიან, დედეაგაჩში შესულა 70000 ჯარის კაცი ოსმალოებისა დესანტისაგან სანაპიროების დასაცავათ.

——

პეტროგრადში მიღებული ცნობებით, სერბიაში მყოფი რუსეთის მისია ელჩ ტრუბეცკოით კრალიევოში გადასულა. აქვე გადაუტანიათ სერბიელებს თავისი რეზიდენცია.

საბერძნეთის მეფის განცხადება.

როგორც „რეჩს" ატყობინებენ, საბერძნეთის მეფეს მიუწვევია ათინაში მყოფი სერბიის ელჩი და ერთხელ კიდევ დაურწმუნებია, რომ საბერძნეთი კვლავინდებურათ სიმპატიური გრძნობებით არის აღჭურვილი სერბიისადმი და ტყუილია ის ხმები, ვითომც საბერძნეთს განზრახვა ქონდეს გევგელის, დოირანისა და მონასტირის დაკავებისა. ამ ხმებმა, რომელიც ასე ძლიერ გავრცელდა ამ ბოლო ხანებში, დიდი აღელვება გამოიწვია არა მარტო სერბიაში, თვით საბერძნეთშიც იმ ბერძნებთა შორის, რომელნიც გულწრფელათ თანაუგრძნობენ სერბიელებს და საბერძნეთს ვალდებულათ სთვლიან ყოველ-გვარი დახმარება აღმოუჩინოს თავის მოკავშირე—სერბიას.

——

პარიზიდან „რეჩს" საკუთარი კორესპონდენტი ატყობინებს, რომ ბულგარეთმა ათინის მთავრობას პროტესტი განუცხადა სალონიკში დესანტის გადასხმის გამო, რადგანაც დესანტის გადასხმით აშკარათ დაირღვა საბერძნეთის ნეიტრალიტეტიო.

——

იტალიელები გორიცაზე ზარბაზნების დაშენას კვლავ განაგრძობენ და ამით ნიადაგს ამზადებენ ტრიენტის ალყასათვის.

——

გერმანელებმა სერბიაში სპილენძის მდიდარი მადნები ხელში ჩაიგდეს და დაუყონებლივ გაგზავნეს იქ მომუშავენი მადნების დასამუშავებლათ.

როგორც „რეჩი" იუწყება, ლაგოსისა და დედეაგაჩის ნავსადგურებს მოკავშირეთა ავიატორებმა ჰაეროპლანებიდან ყუმბარები დაუშინეს. ზღვიდან ზარბაზნების დაშენით განადგურებულია ყველა შენობა, რომელიც აპრილიდან გერმანელმა ინჟინრებმა ააგეს.

——

ინგლისის ელჩმა მოითხოვა საბერძნეთის მთავრობისაგან შესწყვიტონ ტელეგრაფი სალონიკიდან ავსტრიისა და გერმანიასთან.

——

„ეხო დე პარი" ფიქრობს, რომ სერბიელები მოხერხებულათ აწარმოებენ პარტიზანულ ომს და კითხულობს: როგორ შეუძლია სერბია მოიქცეს სხვანაირათ, როცა მას შესაფერ დახმარებას არ აძლევენ.

შეერთებული შტატის მთავრობამ ინგლისის მთავრობას წარუდგინა ნოტა, რომლითაც მოითხოვს რომ ზღვებზე თავისუფალი მიმოსვლის პრინციპის სახელით, ამერიკას ქონდეს უფლება გაგზავნოს გერმანიაში ისეთი საქონელი, რომელიც სამხედრო კონტრაბანდას არ ეკუთვნისო.

——

ტურნ-სევერინიდან დეპეშით იტყობინებიან:

„როცა სერბიაში შესაჭრელათ ტეკიის მხრიდან წინასწარი მომზადება დასრულდა, ავსტრიელებმა 10 ოკტომბერს დილით 5 საათზე გრიგალისებური ცეცხლი გააჩაღეს. ცეცხლი ხუთ საათს გაგრძელდა. დილის 10 საათზე უკვე შეუდგენ ჯარის გადასხმას მდ. დუნაიზე. გადასხმულმა ჯარმა უცბათ დაიკავა ტეკიო და ნაშუადღევს იწყო წინ წაწევა ბორბუკალანკისა და კლადოვოს მიმართულებით. უკანასკნელთა მცხოვრებლები იხიზნებიან. რუმინეთის გემს „სევერინს" შეუჩერებლივ გადაყავს მცხოვრებლები დუნაის რუმინეთის სანაპიროებზე. „დიმინიაცა" აღნიშნავს, რომ სერბიელების დახევა ტეკიოდან სტრატეგიული მოსაზრებით იყო გამოწვეული. და თუ ავსტრიელები დამკვიდრდებიან დუნაის ნაპირზე სერბიის მხრით, მაშინ გაიხსნება მდინარეზე თავისუფალი გზა ბულგარეთში ამუნიციის გადასაზიდათ, რომელიც 50 ბარჟაზეა გამზადებული.

შესაძლებელია ავსტრიელების ეს განზრახვა ჩაიფუშოს.

ვენიზელოსის განცხადება.

„მატენ"-ში დაბეჭდილია საყურადღებო საუბარი, რომელიც მოხდა ვენიზელოსსა და ამავე გაზეთის კორესპონდენტს შორის:

„გადაეცით თქვენი გაზეთის მკითხველებს, ამბობს ვენიზელოსი, რომ ისე მხურვალეთ არავის არ სურს მოკავშირეთა გამარჯვება, როგორც პირადათ მე, მგონი, არც არავინაა ისე დარწმუნებული იმაში, რომ გამარჯვება უთუოდ გერმანიის მოწინააღმდეგე სახელმწიფოთა კოალიციას" დარჩებაო.

ბარონ ფონ ბისინგის მოწოდება.

გერმანიის გაზეთებში დაბეჭდილია ახალი მოწოდება ბრიუსელის ნამესტნიკის ბარონ ფონ ბისინგისა. მოწოდებაში ხაზ გასმით აღნიშნულია ბელგიელ პატრიოტების იმედების უსაფუძვლობა, რომ რაკი ინგლის-საფრანგეთის ჯარი შეტევაზე გადავიდა, ბელგიის ტერიტორია მალე მალე იქნება განთავისუფლებული გერმანელებისაგანო".

„ეს იმედები, ამბობს მოწოდებაში ბისინგი, ფუჭი ოცნებააო. ჩვენმა მტრებმა უკანასკნელ კვირეებში მომხდარ ბრძოლებში ვერავითარ წარმატებით შედეგებს ვერ მიაღწიეს, სამაგიეროთ დიდი ზარალი კი ნახესო. გერმანელებმა ყველა თავისი პოზიცია შეინარჩუნეს და მოკავშირენი ერთი ნაბიჯითაც ვერ მიუახლოვდენ თავის მიზანს—ბელგიის განთავისუფლებას. მოწოდება დასასრულ აფრთხილებს ბელგიის მცხოვრებლებს არ აყვენ ყალბ ცნობებს გერმანიაში სამხედრო მდგომარეობის გაუარესობის შესახებ.

ფოშტა ტელეგრაფის შესახებ პოლონეთში.

„ბერლინერ ტაგებლატი" საყურადღებო ცნობას აქვეყნებს ფოშტა-ტელეგრაფის მდგომარეობის შესახებ პოლონეთში იმ დროს შემდეგ, რაც გერმანელებმა დაიკავეს. გერმანელ მოხელეებმა ჯერჯერობით ფოშტა ტელეგრაფი საგუბერნიო და სამაზრო ქალაქებში მოაწყვეს. მაზრის მცხოვრებლები იძულებული არიან თავისი კორესპონდენციები ხელით გადაიტანონ. დაზღვეულ ბარათებს და ფულიან ამანათებს სახლში ვერ აბარებენ. გერმანელების მიერ დაკავებულ მიდამოებში ხმარობენ გერმანეთის საფოშტო ნიშნებს ზედ წარწერით: „რუსეთის პოლონეთი".

პოლონეთის მოქალაქენი ტელეფონებით ვერ სარგებლობენ. ახლახან მოეწყო პირდაპირი ტელეგრაფი დაკავებულ ადგილებსა და გერმანეთს შორის.

გერმანეთში გაგზავნილი ყველა დეპეშა სამხედრო ცენზორისაგან იშინჯება. კერძო პირების დეპეშებში 15 სიტყვაზე მეტი არ უნდა იყოს და თითოეული სიტყვა ღირს 15 პფენიგათ.

ოთხგვარი ჰაეროპლანი.

თანამედროვე ომში საჭიროდ სცნო ოთხგვარი ჰაეროპლანი: 1) ნაკლებ ძალოვანი მაგრამ დიდი ზომის ჰაეროპლანები საარტილერიო ცეცხლის დასათვალთვალოდ; 2) მზვერავი ჰაეროპლანები; 3) ყუმბარის მფრქვეველი და 4) მტერთან მებრძოლი და მდევარი ჰაეროპლანი.

უკანასკნელი გაუმჯობესება.

გერმანელთ უკანასკნელად გაუუმჯობესებიათ ჰაეროპლანი. უკანასკნელად აგებენ უზარმაზარ ჰაეროპლანებს, რომელზეც „მერსედეს" ტიპის [illegible] მენ. თან ახლავს [illegible] ტი. შეიარაღებულია ტყვიისმფრქვეველებით და კარგი ბლომად ყუმბარებსაც ზიდავს. მთელი კომანდა ამ ჰაეროპლანისა რვა კაცისაგან შესდგება.

საბერძნეთის შესახებ.

დილონი „Dailu telegraqh"-ს ატყობინებს შეთანხმებულთა ბოლო ხნის წინადადებამ ათინის მაღალ წრეებში ირონია გამოიწვია, იგინი წინადადებას აწ დაგვიანებულად სთვლიან.

ორპირი ოფიცრები.

ოფიციალად დამტკიცებულია ის ფაქტი, რომ სპარსეთის ჟანდარმერიაშია შვედელი ოფიცრები ორპირად იქცევიან და გერმანელთა აგენტებად ირიცხებიან თურმე. შაჰის მთავრობამ უბრძანა ქერმანშაჰის ჟანდარმერიის უფროს შვედელ კაპიტანს სინსენს, თან გაჰყოლოდა რუსისა და ინგლისის კონსულებს, რათა გერმანელ კონსულ შიუნემანის თავდასხმა აეცილებინა თავიდან, სინსენმა გადაჭრით უარი განაცხადა ბრძანების შესრულებაზე, მიზეზად ის დაასახელა, რომ ქერმანშაჰში უნდა ვიყო, რათა რაიმე უწესობა არ მოხდესო. ნამდვილად კი მისივე ხელმძღვანელობით მისი ჟანდარმები შეიჭრნენ მთავრობის არსენალში გამოიტანეს ტყვიის მფრქვეველები, ტყვიები და ყველა ეს გადასცეს შიუნემანს. ამ უკანასკნელმა რამდენიმე დღის შემდეგ ამ ტყვიისმფრქვეველებით გზა შეუკრა მიმავალ კონსულებს და აიძულა ჰამადანისკენ დაეხიათ, სადაც შიში არიან და მოელიან ახალ თავდასხმას.

ინგლისის საქმიანობა.

ინგლისელები დაუღალავად მოქმედებენ. ჯერ კიდევ არ დაჰკარგვიათ გამარჯვების იმედი. ეზიდებიან არტილერიის მრავალ ტყვიის მფრქვეველებს, აგებენ ახალ-ახალ თხრილებს, მოაჰყავთ ჯანსაღი ახალგაზრდობა, სდგამენ მძიმე ზარბაზნებს 8, 9—10 დიუმიანს, საჭირო პუნქტებზე აშენებენ ჰაეროპლანებს, ხოლო ჯარს უკან აუარებელი ავტომობილი აწვდის სურსათს, ტყვია წამალს, მარქაფა ჯარებს და სხვა.

ჩინოვნიკი ბენდუქიძე.

(შემდეგი, იხ. „სამშობლო" № 201)

V.

დილას, ასე საათის სრულ შვიდზე, ივანიკა სრულიად გაყვითლებული და აღელვებული დაბრუნდა სახლში; ხელში პატარა ფუთა ეჭირა, რომელშიაც, ზრუნვის ხელით, გახვეული იყო საცვლები და ფარაჯა. სამზარეულოში შესვლისთანავე, ერთი მძიმეთ ამოიოხრა და წინდაუკან, აღელვებული სახით, იწყო სიარული. ბატონის ოთახში შესვლას ვერ ბედავდა და არ იცოდა რა ექნა. საქმე კი სიჩქარეს თხოულობდა. ბევრი ფიქრის შემდეგ გადაწყვიტა ბატონთან შესვლა და ჩქარი ნაბიჯით გაეშურა ქაიხოსროს საწოლ ოთახისაკენ. მისვლისთანავე, მომუჭული ხელი ოთახის კარებს ორჯერ-სამჯერ წყნარათ შემოკრა.

— ვინ ხარ?—მოისმა ყრუ ხმა ოთახის სიღრმიდან.

— ბატონო!.. აბრძანდით...

— რომელი საათია?—მოისმა კიდევ იგივე ხმა.

— რვის ნახევარი...

— ადრეა...—წაილუღლუღა თავისთვის ნამძინარებმა ქაიხოსრომ.—რაშ მოაწყვე საქმე? იშოვე ფული?..—კვლავ, ცნობის მოყვარული კილოთი, შეეკითხა.

— გვიმტყუნა ბედმა!.. ამით ჩაარა ჩემმა ცდამ... ბატონო, აბრძანდით და დაწვრილებით მოგახსენებთ.—ამ სიტყვების გაგონებაზე, ბენდუქიძეს, ცივი ოფლი წამოასხა შუბლზე. საწოლიდან სისწრაფით წამოხტა და, ნახევრათ ჩაცმული, უკვე გაღებულ კარებში გაფითრებული სახით იდგა.

— რაშია საქმე?.. ჯერ არ წასულხარ? .—ჩახრჩვალი ხმით ჩაეკითხა ქაიხოსრო მოჯამაგირეს.

— ვიყავი, ბატონო!.. მაგრამ... ვერ ვნახე!.. ნათქვამია: „უბედურ კაცს ქვა ღმართში მოეწიაო!.." ისეა, სწორეთ, ჩვენი საქმეც!..—ჩუმათ წაილაპარაკა ივანიკამ.

— როგორ?.. ვერ გამიგია შენი სიტყვები?..—მოუთმენლად, თვალებზე ცრემლებ მომდგარი, შეეკითხა ივანიკას და მოჯამაგირეს თვალებში საწყლად შეაცქერდა.

— სოფელში წასულა...—ოდნავ გასაგონი ხმით მიუგო.—„შვილს ნათლავსო"... ასე მითხრეს იმის მეგირდებმა.—„და ერთ კვირას არ დაბრუნდებაო!.."

— მერე... შენ რა გზას დაადექი?

— მე?.. როგორც მოგეხსენებათ, ჩემო ბატონო, შრომა და ცდა არ დამიკლია... იმ წუთშივე ზახვახკენ გავექანე, მაზაზი რომ არის, ბატონო! არც ის იყო სახლში... იქიდან ხიდის გაღმა გავედი და ლაზაროს ძმას დავუწყე, ვერც ის ვნახე... უკანასკნელათ, ერთი მზარეული ვნახე და იმან კი სათოფეთაც არ მიმიკარა... შემდეგ ვისთან არ ვიყავი, სად არ ვიყავი, თვით ჯანდაბაშიაც ლამის წავედი, მაგრამ ყველამ ცივი უარი მითხრა... რა ვქნა, ბატონო! მიბრძანეთ და თუ გნებავთ, თქვენი გულისთვის, თავს დავირჩობ!—ნაღვლიანათ დაამთავრა ივანიკამ და ნახევრად გაღებულ კარს ხელი მაგრათ ჩაჰკიდა.

— ოხ, ღმერთო!..—ტანის ცახცახით ამოსკდა ქაიხოსროს გულს.

და, როგორც იყო ნახევრათ ჩაცმული, ივანიკას თანხლებით, სამზარეულოში გავიდა.

— აბა, მითხარი, ჩემო ერთგულო, ივანიკა, რა ვქნათ ეხლა ჩვენ? რა გზას დავადგეთ?..

ივანიკა ხმას არ იღებდა. მხოლოდ ბატონი ებრალებოდა და მზათ იყო ბატონის ტანჯვა და წვალება გაეზიარებინა. ბატონის სიტყვებს გულის ტკივილით ისმენდა და გულის ტკივილითვე მზათ იყო მისთვის თავი შეეწირა. მაგრამ რას იქმოდა, როდესაც ძალა არ შესწევდა. როდესაც ბატონი და მოჯამაგირე ჩუმათ, უსიტყვოთ, შეწუხებული სახით ერთიმეორეს უცქეროდენ, მაშინ ივანიკამ მეტი ვეღარ მოითმინა და, ცხარე ცრემლების ფრქვევით, დაემხო საწოლ თაროზე, რომელიც სამზარეულოს კუთხეში გამართულ ერთ-ერთ კედელზე მაგრათ იყო მიჭედილი და, მწარე ზლუქუნთან ერთად, რაღაც გაუგებარ სიტყვებს ბუტბუტობდა. ქაიხოსრომ, შეხედვისთანავე, სწრაფლ იგრძნო მიზეზი ივანიკას ტირილისა და იმინაც, მოულოდნელ თანაგრძნობაზე, მოჯამაგირეს მხრივ, მადლობის ნიშნად, მწარე კვნესა—ტირილი მორთო...

ერთ ხანს ბენდუქიძეს სამზარეულოში გულის დასაწველი მოთქმა-ტირილი მეფობდა...

„ამ საცოდავ ივანიკას რისთვის უჯახირებ სიცოცხლეს?..—გაიფიქრა ქაიხოსრომ, როდესაც პირველი ნაბიჯი შესდგა საწოლ ოთახში.—თუ კი მე თვითონ არ შემიძლია რაიმე აზრს დავადგე, მაგი რითი შესძლებს? ცოტათ თუ ბევრათ, მე სწავლა მაინც მიმიღია და მაგი კი... სოფლის გლეხია!.. ვიდრე შეეძლო, ასე თუ ისე, დახმარებას მაძლევდა... უკანასკნელათ, სირცხვილია ივანიკას გულ-ჩვილობით სარგებლობა!.. ვთხოვ მარინეს და საყურეებს დავაგირავებ... რაც იქნება, იქნება! აბა, შიმშილით ხომ არ ამოვწყდებით ცოლშვილი? მარინემაც უნდა შეიგნოს... ჩემ მდგომარეობაში ისიც უნდა შევიდეს... ხსნა არსაიდან არა მაქვს!.. აბა, რა ვქნა?.. ჯერ ერთი სიტყვაც არ მითქვია საყურეების შესახებ... ეხლა კი იძულებული ვარ.. თუ ოდნავ სინიდისი აქვს და შვილები თუ უყვარს, სრულიად უსიტყვოთ უნდა გამომიწოდოს... დამეხმაროს, ვინაიდან ის ვალდებულია... ვინაიდან ის ჩემი ცხოვრების ამხანაგია—მეუღლეა!.. ვცდი და ვეტყვი... ნათქვამია: „ცდა ბედის მონახევრეაო!" აბა, ვნახოთ, რა პასუხს მომცემს?.."

და ამ სიტყვებით გაეშურა მარინესკენ. მარინეს ეძინა. მივიდა საწოლთან და არ იცოდა როგორ მოქცეულიყო. გაღვიძებია, დარწმუნებული იყო მარინე ერთ ალიაქოთს და შფოთს ასტეხავდა. მაგრამ, როდესაც შვილები გაახსენდა, მათ საცოდაობამ სიმხნე გაუორკეცა და მარინეს გამოღვიძება გადაწყვიტა. ამ მოსაზრებით ფრთხილათ და ჩუმათ დაუწყო გაღვიძება.

— რა მოხდა?.. წყრომით შეკივლა მარინემ და ნამძინარევ თვალებს ფშვნეტა დაუწყო.

— მარინე... გვიმტყუნა ბედმა!.. ფული ვერ ვიშოვეთ... და ჩვენ, როგორც ასწანს, დღესაც უსადილოთ ვრჩებით! .—შიშით და კრძალვით გამოელაპარაკა ქაიხოსრო და ორი წვეთი ცრემლი კვლავ ამოსკდა იმის დანაღვლიანებულ თვალებს.

— როგორ? მაგისთვის გამაღვიძე?.. გამიტეხე ძილი? აჲ.. ვერ დაგითხოვე, უდროვო დროს ნუ გამაღვიძებ—მეთქი?..

— მარინე...—უნდოდა კიდევ რაღაც ეთქვა, მაგრამ, როდესაც შეხედა მარინე საწოლში მეორე გვერდზე გადაბრუნდა და ქმარს ზიზღით ზურგი მიაქცია, ნაღვლიანათ განზე ხელი გადიქნია და, იმედ გაცრუებული, მაგიდას დაეყრდნო.

„ვიცი, ვიცი შენი ხრიკები!.. გიცნობ, გიცნობ, ვაჲ ბატონო!..—ელვის სისწრაფით გაიფიქრა მარინემ.—ვნახოთ, ვნახოთ, აბა, ვინ ვის გადააჭარბებს ეშმაკობაში!? საყურეები გინდა, არა?.. იფ, იფ!.."

— სახსოვრად ნაბოძი საყურეები გინდა? იმის მუცლის ტკივილი გაქვს?—საწოლზე ნახევრად გადმობრუნებული მარინე დაცინვის კილოთი შეეკითხა ქმარს.—გინდა ისიც გზას გაუყენო?... ჰამა ხომ გვინდა!.. მეტი რაღა დაგვრჩენია?!.

„ოჰ, დედაკაცი!..—გაიფიქრა ქაიხოსრომ.—საუკუნოებით რომ იცხოვრო დედაკაცთან, დამერწმუნეთ, მაშინაც გამოცანათ დაგრჩებათ!.. დედაკაცის სულიერ მდგომარეობას და ხასიათს ვერას დროს ვერ შეისწავლი და ვერ გაიგებ, რადგან დედაკაცის გული წარმოადგენს იმ ერთ კართაგენს, რომელშიაც თავისუფლათ შედის და გამოდის ყოველივე ბოროტება და სიწამხდრე!.."

უნდა რაღაც ეთქვა მარინესთვის, მაგრამ იმან დაასწრო.

— გადი აქედან ცოტა ხნით!..—ნაღვლიანათ უთხრა ქმარს.—ეხლავე ავდგები, ტანზე ჩავიცვამ და საყურეებსაც მოგაშვევ!..

ქაიხოსრომ თავის ტანისამოსს სიხარულით დაავლო ხელი და მეორე ოთახში გახარებული გავიდა.

გავიდა თუ არა ქაიხოსრო, მარინემ სიჩქარით ფეხები ფოსტლებში გაუყარა, გადიცვა კაბა, ელვის სისწრაფით საყურეები უჯრიდან ამოიღო და, თითქოს ქურდულათ, თვალებ გაბჟღეტილმა, უბეში დამალა. შემდეგ საყურეების პატარა ყუთი ხელში თავ-ღია დაიკავა და განცვიფრებული სახით ქაიხოსროსთან მივარდა.

— მოუპარიათ!.. მოუპარიათ!.. ქურდები შემოგვპარვიათ...—გულწასული გაჰკიოდა.

ამ კივილში ბაბულიას გაეღვიძა და საცვლების ამარა დედასაკენ გაიქანა. შალიკო შეშინებული შემოვარდა ეზოდან ოთახში, ივანიკა—სამზარეულოდან, მხოლოდ სონას და თინას კი ღრმათ ეძინათ და ყველამ ერთად მოიყარეს თავი.

— რა მოუპარიათ, ქალო?.. რა?...—გამოურკვეველათ ეკითხებოდა ქაიხოსრო.

საყურეები... მოუპარიათ... საყურეების პატარა ყუთი თუმცა ძველ ადგილზე იყო.., მაგრამ... ცარიელი დამხვდა!.. მოუპარიათ!.. გაუქურდავთ!.. საყურეები არ არის... ჩემი საყურეები... სანახსოვრო... ერთად-ერთი ნუგეში... საღაც გამქრალა!..—კვნესით და ცრემლების ფრქვევით ამბობდა მარინე.

— როგორ—მოუპარიათ? ვის?.. როდის?..

— რა ვიცი მე—როის?..—ხელ-ახლად წამოიკივლა მარინემ.—ათი დღეა, რაც არ მატარებია... არ დამიხედია... რა ვიცი მე,—როდის მოიპარეს?..

— ვინ მოიპარავდა, ქალო? ქურდები ჩვენ სახლში არავინ არ არის!.. არც გარეშე პირი მოსულა...

— ვ—ი—ნ?..—გაგრძელებით დაიყვირა მარინემ და მოჯამაგირეს იჭვის თვალით გადახედა.—აი, ეს ვაჟბატონი!..—მიათითა ივანიკაზე—სხვა ვერავინ ვერ გაბედავდა!..

(დასასრული ხვალ)

ქრონიკა.

რუსეთი.

ხმები.

პეტროგრადში ხმა გავრცელდა, რომ საზონოვი დასასვენებლად მიდის. გარეშე საქმეთა მართვა დროებით მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს გორემიკინს დაეკისრება.

ბულგარეთის ქვეშევრდომნი.

შინაგან საქმეთა სამინისტრო აურაცხელ შუამდგომლობას ღებულობს ბულგარელების რუსეთის ქვეშევრდომათ ჩარიცხვის შესახებ. სამინისტრომ ამ საკითხის გადაწყვეტა დროებით გადასდვა, ვიდრე მინისტრთა საბჭოსაგან შესაფერ ინსტრუქციას მიიღებდეს. რაც შეეხება რუსეთში მყოფ ბულგარელებს, რომელნიც სახელმწიფო სამსახურში არიან და დიდ ადგილებიც უჭირავთ, იგინი რუსეთის ქვეშევრდომათ ჩარიცხული იქნებიან შინაგან სამინისტროს გადაუწყვეტლათ უმაღლესი მოწყალების მიხედვით.

გადახვეწილთა დახმარება.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ცირკულიარი დაუგზავნა გუბერნატორებს დაუყონებლივ მიიღონ ზომები გადმოხვეწილთა დასახმარებლათ პროვინციებში. ცირკულიარში, სხვათა შორის, სწერია, სოფლით დროებით მისულ გადმოხვეწილთათვის თუ მათ შესახებ არ არის გარკვეული განკარგულება მოხელენილი საერობო დაწესებულებათაგან, გამართონ თათბირი სოფლის ყრილობებთან და შეუფარონ იგინი დროებით. გადმოხვეწილთაგან, ვისაც კი მუშაობის ძალა შესწევს, ამუშაონ საზოგადო სამუშევარზე.

მემარჯვენეთა შორის.

ამ ბოლო დროს მემარჯვენეებს დიდი გამოცოცხლება ეტყობა. მოსკოვის მემარჯვენეთა ხელმძღვანელი ორლოვი, რომელიც ამ დღეებში პეტროგრადს ესტუმრა, მიიღო გზათა მინისტრმა, რომელსაც მთელი მოხსენება წარუდგინა რკინის გზის მდგომარეობის შესახებ. ორლოვი შეეცა და აგრეთვე ახალი მინისტრის ნახვასაც, თუმცა ეს ცდა ჯერჯერობით უნაყოფოთ დარჩა. შინაგან მინისტრის ნახვას ორლოვი იმით ასაბუთებდა, რომ მას აქვს განსაკუთრებული მინდობილობა გააცნოს ხვოსტოვს მოსკოვის მემარჯვენეთა განზრახვანი. ორლოვი მინისტრის ამხანაგმა ბელეცკიმ მიიღო და დიდხანს ჰქონდა მასთან საუბარი. შემდეგ ორლოვმა გამოიწვია პეტროგრადში ვოსტორგოვი, რომელმაც ორლოვთან და გრიგოლ რასპუტინთან ერთად თათბირში მონაწილეობა მიიღო. თათბირზე გადასწყვიტეს აღძრან შუამდგომლობა მთავრობის წინაშე ნება დართონ მოსკოვში სრულიად რუსეთის მემარჯვენეთა კრების გამართვისა ნოემბერში. აგრეთვე გადასწყვიტეს მოსკოვში გამოუშვან 1 კაპეიკიანი სახალხო გაზეთი. ამ გაზეთის გამომცემლათ იქნებიან ვოსტორგოვი, რასპუტინი და ორლოვი. როგორც ამბობენ, გაზეთი ფულის მხრით უზრუნველყოფილი იქნებაო.

გადახიზნულ მოსწავლეთა დახმარება

ტატიანას კომიტეტმა ყოველთვიურათ გადასდვა 10,000 მანეთი, რომელიც უნდა მოახმარონ სარატოვიდან გადახვეწილ მოსწავლე სტუდენტთა და კურსისტკებისათვის სასადილოების მოწყობას.

ქართული პრესა.

„საქართველო" ახლათ გამოსულ „ზვირთი"-სა და „სახალხო ფურცლის" დამოკიდებულებას ეხება და სწერს:

„სახალხო ფურცელმა" სოციალიზმში საჯალაბოში განდგენა. გამოვიდა გაზეთი „ზვირთი", რომელიც წმინდა სოციალიზმის სამსახურს გვპირდება. თუ ყველა ამას დროებითი ხასიათი არა აქვს, ან ბავშურის ცელქობით არ არის გამოწვეული, უნდა ვიფიქროთ, რომ ფედერალისტების ბანაკში, თხები ცხვრებს ერჩევიან. ალბათ ყველას ახსოვს, ამ ორი წლის წინედ მომხდარი შინაური ამბოხება მათ ბანაკში. აღმოჩნდნენ ისეთები, რომელთაც მოურიდებლად განაცხადეს, ჩვენ პარტიას სოციალიზმი დაავიწყდა და ბურჟუაზიულ ნაციონალისტურ პარტიათ იქცაო, ასეთმა განცხადებამ პარტია ცოტათი შეაშფოთა, მაგრამ მართლის მთქმელებს პირში ბურთი ჩასჩარეს და საქმე ამით გათავდა. ეხლა სხვანაირად არის საქმე, რომ „მართლის მთქმელებმა" გაზეთიც კი გამოსცეს. იბადება საკითხი: თუ „ზვირთის" გამოსვლა სწორედ ამით არის გამოწვეული და ეს კი ასეა, რადგანაც ამას თვით „ზვირთიც" აღიარებს თავის მეორე ნომერში, რაღა უნდა გააკეთოს ამის შემდეგ „სახალხო ფურცელმა"? ეს ერთი. მეორე და უმთავრესი კი ის არის, თუ რა უნდა აკეთოს თვით „ზვირთმა"? საქმე ის არის, რომ არც „ზვირთის" სოციალისტობა სწამთ ვისმეს, ის ადრესები, რომელიც მიართვეს ერთმანეთს „ზვირთმა" და „მეგობარმა" არაფრის მაჩვენებელი არ არის. უკეთეს შემთხვევაში, ეს იმას მოასწავებს, რომ „სახალხო ფურცლის" უკმაყოფილონი „მეგობარშიაც" ყოფილან. „ზვირთის" განცხადება, ვითომც იგი ყველაზედ მეტად „თანამედროვე აზრს" ენათესავება, ეს მხოლოდ მისივე ნათქვამია. „თანამედროვე აზრს" კი ამის შესახებ არაფერი არ უთქვამს. ისეთ ხალხს კი, რომლებიც ასე წატმასნებით დაეძებენ ნათესავებს და გვარიშვილობას, ჩვენში, უკანონოებს და მაძიებლებს ეძახიან და, მგონია, „ზვირთი" მუდამ ასეთ მაძიებლად დარჩება.

შეიძლება მიპასუხონ: მაშ რა უნდა ჰქმნან იმათ, ვინც ფედერალისტების პარტიაში თავს სხვანაირად გრძნობენ, მაგალითად, ჭეშმარიტ სოციალისტებათ? ჩემის აზრით, უკეთესი იქმნებოდა, მათაც ისეთებისთვის წაებაძათ, ვინც უსოციალიზმოდაც კარგად გრძნობენ თავს პარტიაში. მაგრამ თუ კი ეს შეუძლებელია იმ ხალხისთვის, რომლებიც საქართველოს ეკონომიურ დაცემას სხვათა შორის იმითაც ხსნიან, რომ ვასკა და გამამ ინდოეთის გზა აღმოაჩინაო, მაშინ, ცხადია, „ზვირთი" უნდა გამოეცათ. მაგრამ რა უნდა გამოვიდეს აქედან? კლუბი დიკენსის პიკ-ვიკებსაც ჰქონდათ, მაგრამ ინგლისის პოლიტიკურ ცხოვრებაზე გავლენას ვერ ახდენდნენ.

ჩვენ შორის.

V

იმ დღეს, როგორც კი შეგვეძლო, ჩვენ დავხატეთ რამდენიმე ტიპი გარემოებისაგან გზა-აბნეულ ქართველი კაცისა. ჩვენ შეგვეძლო დაგვეხატა ათი და ოცი... ოცი და ორმოცი და თუ გნებავთ, ათასი სხვა ამგვარი ტიპებიც. იგინი ყველა ჩვენი ნაცნობია, ყოველ დღე ვხვდებით ერთმანეთს, ერთად ვმუშაობთ, ერთად ვილვწვით—როგორც კი შეგვიძლია, ერთად ვყვირით, ერთად ვბობოქრობთ, ერთად ვფართიფურობთ, ერთად ვპირდებით ქვეყანასა, თუ მთელ კაცობრიობას ხსნასა და შველას... მაგრამ ამავე დროს შინ,—ჩვენ საკუთარ საერო საქმეში—სასაცილონი თუ არა, მეტის მეტად კარიკატურულნი ვართ.

მე ვიცი, რომ ზოგისათვის ხასიათოვანი არ არის ჩემი ასეთი წერა, ჩემი ასეთი სიტყვა. მე ვიცი, რომ მეგობრების მაგიერ, მტრებს ვიჩენ,—ისეთ მტრებს, რომლებიც მზად არიან დამამცირონ და ყბად ამიღონ, მაგრამ ყველა ეს ჩემში მხოლოდ სიბრალულს იწვევს მათდამი, ყველა ეს უფრო ბევრ მასალას და საბუთს მაძლევს დავამტკიცო ჩვენი ყალბი განათლება და ნამდვილი ბიუროკრატობა, ნამდვილი ჩინოვნიკობა!..

ასი წელიწადი ბლა-ბლა არ არის! ყალბი აღზრდა და წვრთნა ასი წლის განმავლობაში; უხეირო გონებრივ საკვებზე ყოფნა მთელი საუკუნე; თვალთ-მაქცობა და ფარისევლობა მთელი ათეული მწარე წელიწადები; ლაქიობა და ბალიადობა ოცი და ორმოცი წლობით,—არავის არ დააყრიდა ხეირს და ამიტომ, როცა ჩვენ სიგლახეზე ვლაპარაკობ ამა თუ იმ პიროვნების შეურაცხყოფა კი არ მინდა, (როგორც ეს ბევრსა ჰგონია) არამედ მე მინდა დავასურათო საერთო სენი, საერთო ავადმყოფობა ქართველობისა, იქნება როგორმე მოვუაროთ ჩვენ თავს და სხვისგან დასაბრიყვებელნი მაინც აღარ ვიყვნეთ...

როცა ექიმი ავათმყოფსა სინჯავს ხოლმე, ჯერ გამოჰკითხავს: რასა ხვამ, რასა სვამ, რითი მოკვდა მამაშენი, დედაშენი, ბაბუაშენი. გვარსა ან ჯიშში ხომ არა გყოლიათ ლოთები, ბნედიანები, კრეტინები, სულელებიო და სხვა და სხვა და სხვა და მერე უწერს ავათმყოფს რეცეპტს.

ჩვენც. ჟურნალისტები, მწერლები, მასწავლებელნი და ყველა ისინი, ვინც კი ხალხის მესვეურობასა ვჩემულობთ, ვინც ჩვენ თავს მოღვაწეებს ვეძახით, ან ვისაც სურს რომ მოღვაწე დაუძახონ, თუ მოღვაწეთ შეიქნეს, მოვალეა ჩაუკვირდეს თავის ერის ყოფა-ცხოვრებას, გაუმკლავდეს ყოველივე ბოროტებას,—შინაური იქნება ეს ბოროტება თუ გარეული.

და როცა მეც ვუკვირდები საზოგადოთ მთელის საქართველოს ცხოვრებას—თვალ-წინ მეხატება ერთი უშველებელი ვაივაგლახი, ერთი უშველებელი ძალმომრეობა და ნუ გამიწყრებით ამ სიტყვისთვის—ერთი უშველებელი ცხოველური შეჩიმობა...

მსახ. ქალი ან. შოთაძე

(წრევანდელი სეზონის გამო).

ძმობა, ერთობა, სიბრალული, თავისუფლება... საზოგადოებრიობა, ანუ სოციალიზმი (რომელიც აქვე ვიტყვით ზოგიერთებს მარტო თავისი პრივილეგია ჰგონიათ), ყველა ეს ლამაზი და ძლიერი ქველობანი—ჩვენთვის მხოლოდ ლამაზი სიტყვებია და სხვა არაფერი.

ავიღოთ, რომელიც გნებავთ, კლასი, ჯგუფი, წოდება, რანგი ქართველთა და დაუკვირდით—მართალს ვამბობ თუ არა?

პირველ ყოვლისა შევეხები ჩვენ სამღვდელოებას, ვინაიდან მე თვითონ ამ წოდებას ვეკუთვნი—საბედნიეროთ თუ საუბედუროთ ჩემდა მისი სისხლი და ხორცი ვარ, მათში გავიზარდე და მათშივე ვბერდები...

რას წარმოადგენს ეს წოდება?

თუ სადმე სამართალია პირველი ეს წოდება უნდა იყოს საზოგადოებრიობის პრინციპის მატარებელი, ვინაიდან იესო ნაზარეველმა—რომელსაც ასეთი ადგილიც კი არა ჰქონდა, „სადა მიიდრიკნა თავი თვისი", მთელი თავისი ძალა, ძლიერება, სიცოცხლე—ჭაბუკური და ღვთაებრივის ცეცხლით ანთებული,—მაშვრალთა და ტვირთ მძიმეთ შესწირა. და სულ იმას ქადაგებდა: „გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენიო".

ასრულებენ თუ არა ჩვენებური მღვდლები ამ მოძღვრებას?..

სასაცილოც კი არის ასეთი კითხვის დაყენება...

შური, მტრობა, გაუტანლობა, ცბიერება, თვალთ-მაქცობა, ჯიბრი, ყოველგვარი დამცირება... რომელი ბიწიერება გნებავთ, რომ აქ არ არსებობდეს.,.

ჯერ,—მაგალითად,—არ გაციებულა რომელიმე ახლად გარდაცვალებული მღვდლის გვამი, რომ ოცი და ორმოცი მღვდელი კონსისტორიის კარებზე სდგას თხოვნით ხელში. ჩაუცვამთ, რაც კი რამ ძველ-ძველი მოეპოვებათ სახლში; ჭუჭყიანნი, მწვირიანნი, თმა და წვერ დაუვარცხნავნი გლახაკის გლახები გეგონებათ...

დგანან დაღვრემილნი, მზათ არიან იტირონ კიდეც, ყოველგვარი დამცირება გამოიარონ, ოღონდ ესა თუ ის ადგილი ნუ დარჩება მამა ონოფრეს, ან პეტრეს, ან ივანეს. აქ კუჭის საქმეა... ჯიბრის საქმეა და „კაცმა მტრის ჯავრი როგორ უნდა შეჭამოსო!" აი რასა ჰფიქრობენ ქრისტეს ჩვენი დროის მოადგილენი...

დაუკვირდით ახლა მათ სკოლებს, რომელიც მათისავე ხარჯით ინახება.. გაითვალისწინეთ სისტემა ამ სკოლების მართვა-გამგეობისა, გაიხსენეთ ისტორია ჩვენებური სემინარიებისა და აღარავითარი კომენტარიები არა სჭირია იმ აზრის დასაბუთებას, რომ სამღვდელოება მხოლოდ ყურმოჭრილი მონაა მიწიერებისა და მათი შვილები მონობისათვის არიან განწირულნი... აკი ამიტომაც სასურველო სასწავლებლიდან, თუ შეიძლება ასე ითქვას გამოდიან ორი უკიდურესი ფორმაციის ტიპები. ერთნი—სრულიად რწმენა დაკარგულნი, მეორენი კი ხანძები, ფლიდები, მლიქვნელები, ჩინისა და ორდენის მოყვარულნი, თვალთ მაქცები, შურიანები...

თქვენ ალბათ კარგად იცნობთ ორივე ტიპის წარმომადგენლებს.

ავიღოთ ახლა მეორე ჯგუფი, მეორე, წრე—ვექილები. ისეთი გამოთაყვანებული ვექილი არ იქნება—თუ კი თავის პროფესიას მისდევს,—რომ წელიწადში სამიათასი მანეთი მაინც არ დაიმუშაოს, ხოლო არიან ისეთი ბედნიერნიც, რომლებიც ერთბაშათ ათი—ოცი—ორმოცი ათას მანეთსაც კი დაიმუშავებენ ხოლმე.

აბა მაჩვენეთ თქვენ ერთი მაგალითი, რომ ამ „ბედნიერებს" ერთი ათასი მანეთი მაინც შეეწიროთ საზოგადო საქმისათვის, თუმცა მათი უმრავლესობა „სოციალისტობს"—საზოგადოებრივ პრინციპებისათვის იღწვის და საზოგადოებრივ პრინციპებზე მსჯელობს დღე და ღამე.

ავიღოთ ახლა მესამე ჯგუფი მესამე წრე—ექიმები. მკვდარსა და ცოცხალს ესენი უვლიან და საერო საქმეებიდან მათზე ჩამოშორებული კი არავინ არის. რა ჰქნან, დრო არა აქვთ და ჯიბეში ერთხელ ჩადებული ფულის მეორედ ამოღება, არც ისე ადვილი საქმეა.

მე აღარა ვამბობ თავად-აზნაურობაზე,—რომელთაც თავისი დიდი ქონება მხოლოდ თავის პირად სიამოვნების დაკმაყოფილებაში გაფლანგეს... ხოლო მათმა წინაპრებმა მთელი ჩვენი ქვეყანა გაჰყიდეს.

აღარას ვამბობ გლეხობაზეც...

ყველასაგან მიტოვებული, ყველასაგან აბუჩათ აგდებული, დაშინებული, უვიცი, უმეცარი, მშიერი მწყურვალი... როგორღა მიხვდება შენ საზოგადოებრივ პრინციპებს?

დავბრუნდეთ კიდევ მუშები, ქართველი მუშები... არც ესენი არიან გლეხებზე უკეთეს პირობებში,—თუმცა მოთხოვნილებანი და მათი დაკმაყოფილების გზა ცოტათი თუ ბევრად შეიცნეს, მაგრამ საერთო განუვითარებლობისა და შევიწროების გამო მადა უფრო დიდი აქვთ, ვიდრე გრძნობა მოვალეობის ასრულებისა...

ერთის სიტყვით, საითაც უნდა გაიხედოთ, ქართველების რომელ ჯგუფსაც უნდა დაუკვირდეთ, ყველგან ერთი და იგივე არასასურველი და არასაზოგადოებრივი პრინციპ—მოქმედება დაგიხვდებათ წინ.

სავალალოა ასეთი ყოფნა, სატირალია ასეთი მდგომარეობა და მთელი ჩვენი მოქმედებაც ჯერ-ჯერობით მაინც იქითკენ უნდა იყოს მიმართული, რომ თითოეულ ჩვენთაგანს მოეთხოვოს თავის საზოგადოებრივ მოვალეობის ასრულება და ვინც ამ მოვალეობის ასრულებას გაურბის, დაგმობილ უნდა იქმნეს სოციალისტურ მანტიაში იქნება იგი გახვეული, თუ არასოციალისტურში. უნდა მოვითხოვოთ, რომ თითოეული ჩვენთაგანი სცხოვრობდეს არა მარტო „გამოსაჩენათ", არა მარტო „ტკბილ ხმათათვის", არამედ თავის მეზობლის დასახმარებლად, საზოგადო, საერო საქმის გასაკეთებლათაც...

ორ—სამ მილიონიან ხალხში იმდენი საერო, საქველმოქმედო თანხა რომ ვერ მოიკრიბოს, რომელიც დააკმაყოფილებდეს ერის [illegible] და უსაჭიროეს მოთხოვნილებებს—ასეთი ერი პატივის ცემის ღირსი არ იქნება არც შინაურებისაგან და არც გარეულებისაგან.

რა გზით უნდა მოხდეს ამ საერო თანხის, საერო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად—მოგროვება, ან შეიძლება თუ არა ასეთი „გმირობის" ჩადენა და ასეთი მსხვერპლის გაღება თითოეულის ჩვენთაგანისგან, რა ჯგუფისაც უნდა იყოს იგი, ამაზე შემდეგ...

ახალი ამბავი.

ქუთაისი.

◆ **მეორე ხარისხის (ლურჯ ბილეთიანი) ჯარის კაცების გაწვევა.** ქუთაისში გამოაკრეს უმაღლესი ბრძანება, რომლის ძალით ახლო მომავალში მოქმედ ჯარის შესავსებათ გაწვეული იქნებიან მეორე ხარისხის მოლაშქრენი; („ლურჯ-ბილეთიანები") განკარგულებაში არ არის ნახსენები, თუ როდის მოხდება ეს გაწვევა, ან რომელი წლისას გაიწვევენ.

◆ **წითელი ბილეთიანების მოქმედ ჯარში გაწვევა.** შინაგან საქმეთა და სამხედრო მინისტრების განკარგულებით, ყველა სათადარიგო ჯარის კაცები, რომელნიც 1914 წელს წითელ-ბილეთიანებათ ჩარიცხეს, ხოლო დღემდი მოქმედ ჯარში არ გაუწვევიათ, დაუყონებლივ უნდა გამოცხადდნენ სამხედრო უფროსთან (ვოინსკი ნაჩალნიკთან). ეს განკარგულება ეხება იმ სათადარიგო ჯარის კაცებსაც, რომელთაც 1914 წ. 43 წელი შეუსრულდათ.

◆ ქუთაისის გუბერნატორმა ნება დართო ს. ცვერბაშის (ქუთაისის მაზრა) მცხოვრებლებს, ონისიმე მ. ძმ. რიაშვილის თავდებობით გახსნან ამ სოფელში უფასო წიგნ-საცავ-სამკითხველო.

◆ სტუდენტების ჯარში [illegible] შესახებ სამინისტრომ [illegible] გაიწვიონ 19 წლიანები, რომელ კურსზედაც უნდა იყვნენ, შემდეგ 20 წლიანები და ასე. გარდა საექიმო ფაკულტეტის სტუდენტებისა. ებრაელ სტუდენტებს არ გაიწვევენ.

◆ სრულიად რუსეთის ქალაქთა კავშირის თავმჯდომარე ატყობინებს ქუთაისის ქალაქის გამგეობას, რაც შეიძლება მალე მიაწოდოს დაწვრილებითი ცნობა იმის შესახებ, თუ რამდენი დასაწოლი შეიძლება ვიშოვოთ თქვენ ქალაქში ოფიცრებისათვის ან რამდენის მომზადება შეიძლება ამ მოკლე ხანში.

◆ ქუთაისის გუბერნატორმა ნება დართო წერა კით. გამავ. საზოგ. ქუთაისის განყოფილებას ვ. გ. რევიშვილის პასუხის მგებლობით. დაარსდეს ს. სამტრედიაში (ქუთ. მაზ.) უფასო წიგნსაცავ სამკითხველო.

◆ ს. ხუნცის (სენაკის მაზრა) მცხოვრებლებმა შუამდგომლობა აღძრეს ქუთაისის გუბერნატორის წინაშე, ნება დართოს დაარსონ მომხმარებელი საზოგადოება „ეკონომია".

დ. სასხერის. მცხოვრებმა მღვ. ა. იაკობიშვილმა და სხვებმა შუამდგომლობა აღძრეს ქუთაისის გუბერნატორის წინაშე რათა ნება დართოს დაარსონ მომხმარებელი საზოგადოება „მოდი მნახე".

◆ ს. ბეელეთის (ოზურგეთის მაზრა) მცხოვრებლებმა შუამდგომლობა აღძრეს ქუთაისის გუბერნატორის წინაშე, მომხმარებელი საზოგადოების "თავდაცვის" დაარსების შესახებ.

◆ ს. შემოქმედის (ოზურგეთის მაზრა) მცხოვრებლებმა შუამდგომლობა აღძრეს ქუთაისის გუბერნატორის წინაშე ნება დართოს დაარსონ მომხმარებელი საზოგადოება „სიჭიროება".

◆ ს. თერჯოლის (შორაპნის მაზრა) მცხოვრებლებმა მღვ. იოსებ ბარბაქაძემ, სვვ. კარკატაძემ, მათე მაკარაძემ და მღ. ისიდორე კოჩიაშვილმა შუამდგომლობა აღძრეს ქუთაისის გუბერნატორის წინაშე თერჯოლაში მომხმარებელი საზოგადოების დაარსებისათვის.

◆ ქ. ფოთის მცხოვრებლებმა ი. ი. გოვოროვსკიმ ნ. ნ. სამიტმა და ე. დ. ხარაზაშვილმა შუამდგომლობა აღძრეს ქუთაისის გუბერნატორის წინაშე, რათა მიეცეს მათ ნება დაარსონ ქ. ფოთში მომხმარებელი საზოგადოება: „საურთიერთო დახმარება".

◆ 5—18 ოქტომბრამდე: ქალაქ ქუთაისში შემდეგი სანოვაგე შემოვიდა: პურის ფქვილი 14 ვაგონი, სიმინდი 4 ვაგონი, შაქარი ერთი ვაგონი, ცემენტი 2 ვაგონი, მაზუთი 3 ვაგონი ნავთი 2 კატიოლი, ქვა ნახშირი 5 ვაგონი თივა 8 ვაგონი მარილი 6 ვაგონი შეშა 40 ვაგონი სხვა და სხვა სანოვაგე 17585 ფუთი.

◆ ქუთაისის ქალაქის სასურსათო კომისიამ შემდეგნაირათ გაანაწილა სანოვაგებისთვის ვაგონები: პურის ფქვილისთვის 30 ვაგონი, შაქრისათვის ერთი, ვაგონი თივისათვის 5 ვაგონი სხვა და სხვა სანოვაგისათვის ერთი ვაგონი.

◆ როგორც გავიგეთ, ქუთაისის კომერციულ სასწავლებელში ქართულ ენას უკვე ასწავლიან. როდესაც სასწავლებლის დამაარსებლებმა წესდება წარადგინეს სამინისტროში დასამტკიცებლათ იქ აღნიშნული იყო, რომ ქართული ენა სასწავლებელში უნდა იქნეს შემოღებულიო. სამინისტრომ ეს მუხლი შესცვალა იმ სახით, რომ ქართული ენა უნდა ესწავლებინათ, როგორც არა სავალდებულო საგანი. ბ. ვერხოვსკის აქ ყოფნის დროს გამგეობამ მოლაპარაკება იქონია, რომ ისევ აღეძრათ შუამდგომლობა ქართული ენის შემოღებისათვის სასწავლებელში და სავალდებულო საგნათ აღიარებით.

ბ. ვერხოვსკიმ ამის შესახებ დახმარება აღუთქვა.

◆ ივანე ლუკას ძე მახვილაძემ, ქუ-

თაისის გუბერნატორის წინაშე შუამდგომლობა აღძრა, ნება დართოს ქუთაისში გამოსცეს ქართული ყოველ-დღიური გაზეთი „ჩვენი მეგობარი.“

შეცდომის გასწორება.

ჩვენი გაზეთის 200 №-ში მოთავსებულ ლექსში,—უი, უი! შემდეგი შეცდომა გაგვეპარა. დაბეჭდილია: ეს ბარტიობაა? გვეპატიება უნდა იყოს: ეს პარტიობაა? გვეპატიება?

198 ე №-ში დაბეჭდილი გოსპიტლის განცხადებაში **დაბეჭდილი იყო საჭირო საგნების** მიწვდა 1 სეკტემბრიდან 1915 **წლ. უნდა იყოს 1 დეკემბრიდან** 1915 წლ.

თფილისი.

— შინაგან საქმეთა და სამხედრო მინისტრის განკარგულებით, ყველა სათადარიგო ჯარისკაცები, რომელნიც 1914 წელს წითელბილეთიანებით ჩაირიცხნენ, ხოლო დღემდის მოქმედ ჯარში არ ითვლებოდა, დაუყონებლივ უნდა გამოეცხადონ სამხედრო უფროსთან (ვოინსკი ნაჩალნიკთან). ასეთი განკარგულება იმ ყოფილ სათადარიგო ჯარის კაცებსაც ეხება, რომელთაც 1914 წ. 43 წელი შეუსრულდათ ამ ჟამათ 44 წლისანი არიან ამ პირებსაც იწვევენ.

— 13 ოქტომბერს სამხედრო მინისტრის თანაშემწე ბელიაევის თავმჯდომარეობით მოხდა განსაკუთრებული საუწყებათშორისო თათბირი სტუდენტების ჯარში გაწვევის შესახებ, კრების გახსნისას ბელიაევმა განაცხადა, რომ სტუდენტების ჯარში გაწვევის შესახებ თათბირი ძალზე გაჭიანურდა, რაც გამოიწვია სამხედრო სამინისტროს მუშაობამ საოფიცრო შკოლების დროზე მოსაწყობათ. თათბირის ზოგიერთმა წევრებმა გამოსთქვეს აზრი, შეეცვალათ წინანდელი შეხედულება და სტუდენტები ხნოვანების დამიხედვით გაეწვიათ ჯარში. თათბირმა ეს შეხედულება ერთხმათ მიიღო. გადაწყდა ჯერ გაიწვიონ 19 წლიანები, რომელ კურსზედაც არ უნდა იყვნენ ისინი, გარდა მეოთხე კურსისა. შემდეგ 20 წლიანები და ასე 27 წლამდი. ჯარში არ გაიწვევენ საექიმო ფაკულტეტის არც ერთს სტუდენტს, დანარჩენ ფაკულტეტებს მეოთხე კურსის სტუდენტებს და სპეციალურ ტეხნიკურ სასწავლებელთა მეოთხე და მეხუთე კურსის სტუდენტებს, ფიქრობენ ჯარში გაწვევას პირველ ნოემბერს შეუდგენ. შემდეგ თათბირი შეეხო ებრაელ სტუდენტების გაწვევას, რომელთაც უფლება არ აქვთ საოფიცრო შკოლებში შევიდნენ. ხანგრძლივი კამათის შემდეგ თათბირმა დაადგინა ებრაელი სტუდენტები ჯარში არ გაიწვიონ.

— „რეჩის“ გადმოცემით, გამოიცა კავკასიაში მეფის მოადგილის ცირკულიარი, რომლის ძალით ამ მხარეში ცხოვრება ჰკრძალებიათ გადმოხვეწილ ებრაელ ვაჭრებს და ხელოსნებს, აკრძალულია აგრეთვე შემდეგში მათი დასახლება.

— როგორც სარატოვიდან იტყობინებიან, იქ მძიმე ავად გამხდარა მეორე დუმის დეპუტატი ბ. ლომთათიძე (ჭოლა).

— ქალაქთა კავშირის კავკასიის განყოფილებას გადაუწყვეტია მოაწყოს აჭარაში 300 ლოგინი. ამათგან 50 ლოგინი ხულოში და 50 ქედაში.

— როგორც გავიგეთ, კიდევ 181 აჭარელი მიუციათ პასუხისგებაში. ამათაც სახელმწიფო ღალატს აბრალებენ. პირველად გაასამართლებენ 76 ს და შემდეგ 105 კაცს.

ნავთის მოვაჭრეთა საყურადღებოთ!

ქუთაისის რკინის გზის სადგურმა 18 ოქტომბერს უკვე მიიღო ორი ქვაბი ნავთი თავის მოსამსახურეთა დასაკმაყოფილებლათ და რკინის გზის ბინების გასანათებლათ.

ხოლო ის ნავთიანი ქვაბები, რომელიც ქუთათურ მოვაჭრეებს ეკუთნის და რომელიც უკვე გამოგზავნილია ბაქოდან, ჯერ კიდევ უძრავათ სდგანან ბალაჯარი-ქუთაისის შუა რკინის გზის სადგურებზე და, ვინ იცის, რამდენხანს იქნებიან უძრავათ, თუ მეპატრონენი დროით არ მიეშველენ. ამის მიზეზი უმთავრესად იქ უნდა ვეძიოთ, რომ ცისტერნების დერძებს მოსასმელი „ზეთი“ შემოკლებია, და თუ ეს „ზეთი“ პატრონმა არ მოუსვა, ისე მათ დაძვრას სადგურიდან არავინ ფიქრობს. ხოლო ამავე დროს ვაფრთხილებ ყველას, რომ მცირე თანხით წასვლა ვერას უშველის საქმეს, ვინაიდან ბალაჯარა ქუთაისს შუა ბევრი სადგურია და სად რამდენი დასჭირდება „მადამოს მოსმა“ წინასწარ გამოანგარიშება ძნელია. ამიტომ ვურჩევ გულწრფელად ნავთის მეპატრონეთ საკმაო თანხით გაემგზავრონ, ან თავისი რწმუნებულები გაგზავნონ, რომ ნავთიანი ქვაბები სადგურებიდან დასძრან, თორემ ჯერ კიდევ ბევრი ხანი გაივლის, რომ ქუთათურები იქნებიან სიბნელეში და ისედაც საერთო კრიზისით შევიწროებული მცხოვრებლები ვერ შესძლებენ გაუმკლავდნენ ქუთათურ ჩარჩებს და თითო გირვანქა სანთელში 9 შაური იხადონ.

ლ. **ნელიუბოვი.**

თეატრი და ხელოვნება.

ურიის სისხლი. დრამა 3 მ. ბერნშტეინისა, თარგმანი შ. დადიანისა.

(შემდეგი იხ. „სამშ.“ № 201.)

ცხოვრებაში არსებობს ერთი უტყუარი კანონი: რაც მეტია ძალდატანება, მით მეტია წინააღმდეგობაც... თითოეულ არსს სწყურია სიცოცხლე და იბრძვის იქამდე, ვიდრე უკანასკნელი წვეთი სისხლის შერჩენია...

ეს საერთო კანონი ზედ გამოჰკრილია ამა თუ იმ ერზედაც. ერი,—საუკუნოებით ჩამოყალიბებული, ჰპარნახული და ისტორიის ქარცეცხლში გამოვლილი ერი—აგრე ადვილათ არავის დაუთმობს სიცოცხლეს, თავის უფლებებს, თავის სულთ-ქმას...

თქვენ შეგიძლიათ გააქვავოთ ესა, თუ ის ერი, შეგიძლიათ გადააქციოთ მონათ, საპყარ მონათ, რომელიც მზათ იქნება ყოველთვის და ყოველ შემთხვევაში ფეხი აგილოკოსთ, დაგიმტკიცოსთ თავისი უქვეშევრდომილესი გრძნობანი, გაქოსთ და გადიდოსთ; თქვენ შეგიძლიათ დაუჩლუნგოთ ერს პირადი თავმოყვარეობა, წაართვათ მას მიწა-წყალი, ქონება, მოაკლოთ მას ყოველივე ღირსებადი უფლებანი, მაგრამ არ შეგიძლიათ მოსპოთ მისი გულის ტკივილი, მისი სურვილი შელახულ თავმოყვარეობისა და ადამიანურ უფლებათა აღდგენისა;—მის გულში მარად ღვივის გრძნობა შურის ძიებისა, მით უფრო სასტიკისა და შეუბრალებელის შურის-ძიებისა, რამდენათაც სასტიკი და შეუბრალებელია თქვენი მოპყრობა ამა თუ იმ ერისადმი...

შეიძლება ეს შურის ძიება ვერ გამოიხატოს ფიზიკურ წინააღმდეგობაში, მაგრამ მორალურათ კი დიდი ნაკვევი მოუტანოს არა მარტო ამა თუ იმ თვითმპყრობელ ერს, არამედ მთელ კაცობრიობასაც...

მთელ დედამიწის ზურგზე არ არის ისეთი ტანჯული ერი, როგორიც არის ერი ისრაილისა და მთელ დედამიწის ზურგზედვე არ არის ისეთივე მოხერხებული, გამჭრიახი და მედგარი გულის თქმის ერი, როგორიც არის იგივე ერი ისრაილისა...

გამოდევნილნი თავის ქვეყნიდან, ტანჯულნი და წამებულნი შვილნი ისრაელისა ყველგან არიან, ყველას უნახავს, ყველა გრძნობს მათ ნაკლსა, თუ ღირსებას...

არა არის რა უსაძაგლესი გზიდან გადავარდნილის „გადარჯულებულის“ ებრაელისა, მაგრამ არა არის რა უმტკიცესი მამაპაპათა ტრადიციების დამცველ ამაგი ებრაელისა!.. და რამდენათაც ვნებს ერსა ისრაელისასა მოქმედება გადაგვარებულ შვილთა, იმდენათ ინახავს მას სიმტკიცე თავის რჯულისა და ვინაობის შემნახველ შვილებისა...

და რამდენიც არ უნდა სდევნონ ებრაელებს, თუ კი ერთი ჭეშმარიტი ებრაელი მაინც დარჩება ქვეყნათ—იდეა ადამიანურ უფლებათა მოპოვებისა, ეროვნულ თავისებურობის დაცვისა—მარადის უკვდავი იქნება, ვით უკვდავია ცრემლი ტანჯულთა და კვნესა დაჩაგრულთა.

და ჩვენი გვგონია, ეს იდეა უნდა იყოს გატარებული ბერნშტეინის პიესაშიც, რომელსაც მთარგმნელს „ურიის სისხლი“ დაურქმევია...

ფაბულა, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ თვით ხლართი დრამისა მეტის მეტი ტრაღიკულია...

„ტიბო თავადი დე კლიარი (ი. ზარდალიშვილი).—ახალგაზრდა განათლებული კაცი,—დიდი მდევნელია ებრაელებისა, დიდი მოძულეა ამ ტანჯული ხალხისა და სურს რა განდევნა მათი საფრანგეთიდან—სათავეში ჩაუდგება ანტისემიტების პარტიის და შეუბრალებელის სისასტიკით ეწევა პროპაგანდას მათ წინააღმდეგ, მთელი პარტია თაყვანს სცემს ამ უშიშარსა და რაინდ თავადს, ამაყობს მისი ცოდნით და ტაშს უკრავს მის შეუდრეკელ ლტოლვილებას..

რისხვა ამ ახალგაზრდა თავადისა, სხვათა შორის, თავს დაატყდა ებრაელ ბანკირს ჟიუსტენ გუტლიბსაც (შ. დადიანი), რომელსაც თავადმა წინადადება მისცა დაუყონებლივ დაეტოვებინა რჩეულ ფრანგთა საკრებულოს წევრობა და რაკი ეს წინადადება არ შესრულდა, საჯაროთ შეურაცხყოფა მიაყენა და თავში ჯოხი წამოუსვა.

თავად ტიბოს საქციელს მოჰყვა ხმალში გამოწვევაც გუტლიბისა. გუტლიბი არ შეუშინდა და მამაცურად დახვდა ახალგაზრდა თავადს.

აქედან იწყება ტანჯვა, ტანჯვა დაუსრულებელი და უსაზღვრო ტიბოს დედისა—ჰერცოგ დე კრუსის მეუღლისა (ქ. ე. მესხი). ჰერცოგინიას ებრალება ორივე მებრძოლი. აღარ იცის რომელი ერთი გასწიროს შვილი, თუ გუტლიბი, რომელიც ოდესღაც... ახალგაზრდობაში, ოცი ოდე ხუთი წლის წინად, გულის მეგობარი იყო ჰერცოგინიასი და იმ დროს როცა ლოთი და მებანქოვე ჰერცოგი—კანონიერი ქმარი აგნესისა—სხვაგან ათენებდა ღამეებს—გუტლიბი იყო ჰერცოგინის ახალგაზრდობის დამამშვენებელი. თვით ტიბოც... შვილია ებრაელ გუტლიბისა და არა ჰერცოგისა... მაშასადამე, სისხლი უნდა დაღვაროს ან მამამ შვილისა და ან შვილმა მამისა...

ვინ იცის რომელ ოჯახში რა საიდუმლოება არა ტრიალებს, მაგრამ მისი გამჟღავნება ყოველთვის დიდ კატასტროფას იწვევს ხოლმე და საშინელის მარცხით დამთავრდა ტიბოს ვაჟკაცური ცხოვრებაც.

იმ დროს როცა ჰერცოგინია ეხვეწება გუტლიბს: ნუ ჰკლავ ხმალში ტიბოს, ის ხომ შენი შვილია და, როცა გუტლიბიც გადაუშლის ტანჯვის თვის გულისას,—ოთახში შემოვა თვით ტიბო.

ნახეთ თავის! მოსისხლე მტერი—თავის სახლში, თავის საყვარელ დედასთან, რომელიც წმინდანათ ჰყავს დასახული ტიბოს, სასოწარკვეთილებამდი მიჰყავს ახალგაზრდა თავადი. კითხვა-კითხვით, დაჟინებულის მედგრობით თავადი ტიბო გამოსტეხავს დედას და გაიგებს, რომ იგი თავმომწონე ფრანგი თავადი, დიდი და მოსისხლე მტერი ებრაელების,—შვილი ყოფილა გუტლიბისა... მის ძარღვებში მდგარა „სისხლი ებრაელისა“...

გინახავთ როდისმე როგორ ენარცხება ხოლმე ძირს მთიდან წამოსული ზვავი? ან როგორის შეუბრალებლობით ინთქება მქუხარე მდინარე სადღაც უფსკრულში, სადაც ადამიანის თვალი ვეღარა სწვდება და ადქაფებული გროვა წყალთა იკარგება თვალისათვისაც, სმენისათვისაც და მთელი მისი ბობოქრობა მარტოოდენ ყრუ გულშეზარავ გმინვათ და იქცევა ხოლმე?

სწორედ ასე დაემართა ტიბოსაც: თავის შთამომავლობის გაგებამ, იგი უცბათ ჩაჰკლა, მიწასთან გაანადგურა: დაეკარგა რწმენა, შესძულდა ქვეყანა, შეზიზღდა დედაც.

— განა მე თავადი ტიბო არა ვარ და ჩემს ძარღვებში საზიზღარი ებრაელის სისხლი სდგასო? ათასჯერ ეკითხება თავის თავს ტიბო და მზად არის თავისი ხელით გაიძროს თავისავე ტყავი და გამოიშვას ძარღვებიდან „ურიის სისხლი!“.

— დიახ, შენ იმიტომ ხარ ეგრეთი ყოჩაღი, იმიტომ ისახელე თავი ახალგაზრდობაშივე, რომ შენ ჩემი შვილი ხარ.. შენ ძარღვებში „ურიის სისხლი“ სჩქეფს—ამაყად ეუბნება გუტლიბი სიმწრისაგან გონება-დაბნეულ ტიბოს, როცა თვით ტიბომ უარი განაცხადა ხმალში გასვლაზე და მოინდომა გუტლიბთან პირდაპირ მოლაპარაკება.

— მე აღარ მინდა სიცოცხლე... არ მინდა ვატარო „ურიის სისხლიო“—ამაყათვე უპასუხებს იეზუიტებისაგან გაწვრთნილი ებრაელთადმი გაალმასებული ტიბო და თავს იკლავს.

მოკვდა ტიბო. მოისპო პირადი სიცოცხლე, მაგრამ არ მოსპობილა სიძლიერე „ურიის სისხლისა“. ურიების მეძაგარი მდევნელი, მთელი დასის ანტისემიტების სიამაყე მაინც ურია იყო...

საქმე სიმტკიცეშია, თორემ მისი გამოყენება პირობებზე დამოკიდებული...

— დედ-მამის საიდუმლოებამ და ებრაობამ დაღუპა ტიბო—სისხლმა მისმა კი დაგვანახა მისი ძლიერება....

აი, რას გვეუბნება ავტორი ამ პიესით და მით ადასტურებს იმ დებულებას, რომელიც ზევით გამოვსთქვით ამა თუ იმ დევნილი ერის სულის-კვეთების შესახებ.

(შემდეგი იქნება).

ბიბლიოგრაფია.

„საქართველოს ისტორია“ სიმონ ქვარიანისა, შემოკლებული კურსი, მეოთხე გამოცემა, სურათებით და გეოგრაფიული კარტით, 1915 წ. ფასი ყდით 10 შაური, ქუთაისი, გ. ოცხელის წიგნის მაღაზიის გამოცემა.

ამ უკანასკნელ დროს, როგორც ქართულ გიმნაზიებში ისე მთავრობისა და კერძო სასწავლებლებში ბევრგან ქართული ენის მასწავლებლების მიერ შეტანილ იქნა პროგრამაში საქართველოს ისტორიის მოკლედ შესწავლა, რის გამო დღეს არა თუ საშუალო, დაბალი სასწავლებლების მოსწავლენიც ეცნობიან საქართველოს წარსულს. ქართული ენის ყოველი მასწავლებელი ვალდებულად უნდა თვლიდეს თავის თავს გააცნოს თავისი მოწაფეებს, როგორც სამშობლოქვეყნის აღწერას, ისე მოკლე ისტორიასაც არავისთვის საიდუმლოებას არ შეადგენს ის გარემოება, რომ ჯერ-ჯერობით ჩვენ ქართული სახელმძღვანელოები ნაკლებად გვაქვს და რომელიც მოგვეპოვება, ჯეროვანი კრიტიკის ქარცეცხლში ჯეროვნად არ არის გატარებული. რაც შეეხება საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოებს, ზოგი დაუმთავრებელია, ზოგი ერთობ ვრცელია და მოსწავლეთათვის სახელმძღვანელოდ უვარგისია და ზოგის გამოცემა გამოლეულია და შემდეგ აღარ დაუბეჭდიათ ავტორებს. ახალ გამოცემებში ამ ბოლო დროს სახელმძღვანელოდ ხმარებაშია სხვათა შორის საქართველოს ისტორიის დამთავრებული შემოკლებული კურსი სიმონ ქვარიანისა, რომლის უკანასკნელი გამოცემაც გადავათვალიერე ამ დღეებში.

— ამ გამოცემაში ჩამატებულია უძველესი ისტორიიდან სამი თავი: „ქართველების უძველესი ბინა“, „რომის დიდი იმპერია და საქართველოს სამეფონი“, „რომაელთა ბატონობა“, ამასთანავე წიგნში ჩართულია ოცი ახალი სურათი მეფეებისა და მონასტრებ-ტაძრებისა, რის გამო წიგნი გადიდებულია 13 გვერდით და ეხლა შეიცავს 142 გვერდს. საზოგადოთ ისტორიის სახელმძღვანელოში ადგილი უნდა ჰქონდეს ყოველთვის ნამდვილს ისტორიულ ფაქტებს, გადაჭარბებული და ფანტაზიური ცნობები წიგნში არ უნდა შედიოდეს. ამ სახელმძღვანელოში ზოგან ფაქტები, ცოტა არ იყოს გაზვიადებულ—გადიდებულია, ხშირად ავტორი გადაჭარბებული ქება დიდებით ახსენებს მარტო ქართველი ლაშქრის ძლევამოსილობას, რითაც ამის ნაშრომს სუბიექტივიზმის ელფერი დაჰკრავს. ამავე მიზეზებით აგრეთვე პოეტურ ხელოვნურად აღწერილ ადგილებს და მრავალ [illegible] გამო მოსწავლეებს მეტად [illegible] რო და ნამდვილი ფაქტების დამახინჯება გადმოცემა; ეს მე დამამტკიცა წლის განმავლობაში ამ სახელმძღვანელოს ხმარებამ უმაღლეს პირველ დაწყებით სასწავლებელში. ბუნდოვანი და არეული აგრეთვე წიგნში ადგილები მონგოლების შემოსევიდან (მე-13 საუკ.) ვახტანგ სჯულმდებლამდი, განსაკუთრებით კი შაჰ-აბაზის დროის და გიორგი სააკაძის ისტორია; ამ ადგილს შემოკლება მოუხდება და უფრო მჭიდროდ გადაბმა-შეკავშირება. სახელმძღვანელოში მასალა სისტემატიურად არის დაწყობილი, ენა ლიტერატურულია, სურათები ლამაზი და [illegible], ქაღალდი კარგი ხარისხის, შრიფტი მსხვილი და გარკვეული, ფორმატი შნოიანი, გეოგრაფიული კარტაც ლამაზი; რაც შეიძლება სუფთად გამოცემულია. პატივცემული ავტორი თუ ზემო ჩამოთვლილ დეფექტებს მოაშორებს ამ წიგნს, ჩინებული სახელმძღვანელო იქნება მაღალ პირველ დაწყებითი და საშუალო სასწავლებლების დაბალი კლასებისათვის, როგორც დასრულებული კურსი; აგრეთვე ეს წიგნი დიდ სამსახურს გაუწევს ყველას ოჯახებში ვისაც სურვილი აქვს გაეცნოს მოკლედ საქართველოს წარსულს.

ლადო ბზვანელი.

ღია წერილი

ს. ლესაში და მის რაიონში მცხოვრებთ საზოგადოებას.

პატივცემულო მეზობლებო!

როგორც განცხადებიდან მოგეხსენებათ, თანახმათ მისი მოცემული სიტყვისა, 18 მიმდინარე ოქტომბერს ს. ლესაში უნდა ჩამოსულიყო ქუთაისში კარგად ცნობილი ექიმი გრ. კონ. ალშიბაია, მაგრამ ბ. ალშიბაიამ სრულებით უმიზეზოთ და უსაბუთოთ დაარღვია მისი მოცემული პირობა და ერთი კვირის შემდეგ უარი განაცხადა ლესაში წამოსვლაზე, რითაც დიდ უხერხულ მდგომარეობაში ჩაგვაყენა თქვენს წინაშე ჩვენ მისი მოწვევის ინიციატორები, რისთვისაც მე, როგორც ერთი იმათგანი, დიდათ ვწუხვარ და თან დიდ ბოდიშს ვიხდი თქვენს წინაშე და გთხოვთ ჩვენთვის მსჯავრის დადებაზე თავი შეიკავოთ ვიდრე დაწვრილებით გაიგებდეთ ამ საქმის ვითარებას.

ღრმა პატივისცემით **ბარნაბა შარაშიძე.**

რედ.-გამომც. **ი. თ ცინცაძე.**

ქუთაისის სამხედრო გოსპიტალი
მოუწოდებს მსურველთ მიიღონ მონაწილეობა
საჯარო ვაჭრობაში,
რომელიც მოხდება გოსპიტლის კანცელარიაში 12 ნოემბერს, მდგომარე წლისა.
იჯარით გაიცემა
გოსპიტლისათვის **ხორცეულისა და სხვა საჭირო საგნების მიწვდა 1** დეკემბრიდან 1915 წლ. 1917 წლის 1 იანვრამდი.
მთელი ჯამი მისაწოდებელ სურსათისა უდრის 90000 მანეთს.
განცხადებასთან ერთად, ვისაც სურს აიღოს იჯარით სურსათის მიწვდის საქმე, მსურველმა უნდა წარმოადგინოს ბეთ 2000 მ., თუ ყველა სანოვაგის მიწვდას იკისრებს. კერძოთ კი,—ხორცის მიმწოდებელმა—1000 მ. პურისა, რძისა, კვერცხისა და სხვა სან. 1000 მან. მწვანილეულობის მიმწოდებელმა კი 200 მან.

ევროპიული ტანსაცმლების მაღაზია
ალექსანდრე ი. კოსტავასი
თფილისის ქუჩაზე, ქალაქის აფთიაქთან.
ახლათ მიღებულია: საზამთრო და საშემოდგომო პალტოები, კოსტიუმები, აგრეთვე საწვიმარი მოსასხურავები და სხვა მრავალგვარი შეკერილი ტანთსაცმელები. აქვე იშოვება არშინობით—რუსული და საზღვარგარეული ყოველგვარი მატერიები. **რიგიან ფასებში,** რადგანაც მუშა ხელი შემცირებულია. ფასები უვაჭროთ. თ.

ძმათა ყორღოლაძეების მაღაზიაში
(ქუთაისი, მიხეილის ქუჩა, საკუთარი სახლი)
მიღებულია დიდძალი
საპნის გასაკეთებელი „სოდა“
აქვე იყიდება ყოველგვარი ბაკალიური საქონელი. ფასები ყველაზედ ზომიერია როგორც წვრილათ, აგრეთვე ნარდათ.

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან